დანართი №2

ააიპ კოლეჯ „ჰორიზონტში“ სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ნინო მოწყობილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი “ჰორიზონტი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 დეკემბრის #1434001 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში #97108, 01.02.22) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ნინო მოწყობილი დაევალა ვიზიტი ააიპ კოლეჯ ჰორიზონტში, მისამართი: (ქ. ოზურგეთი, რუსთაველის N8).მიმდინარე წლის 11 იანვარს, "სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება კოლეჯის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელ პირებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ.ვასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1-1.<u>რეკომენდირებულია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულებამ გაანალიზოს რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, პროგრამის განხორციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებითი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. სასურველია დაწესებულებამ დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს,შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროს თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია უკვე და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება.</u>

<u>2.2.1-6 რეკომენდირებულია მარეგულირებელ დებულებაში გაიწეროს სასწავლო რესურსების ადაპტირების წესი.</u>
<u>2.3.1-1 რეკომენდირებულია კვლევის ეტაპზე პასუხისმგებელი პირების მიერ მოხდეს იმ დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი , რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე გაეცნონ დამსაქმებელთა</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებს რა უნარ-ჩვევებს მოითხოვენ კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულთაგან და იხელმძღვანელონ პროგრამის განვითარების და დახვეწის პროცესში.

2.4.2-2 რეკომენდირებულია დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ვერიფიკაციის პერიოდულობა(რამდენ ხანში ერთხელ უნდა ჩატარდეს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება 2021 წლის 6 დეკემბერი N 04-201
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ოზურგეთი,რუსთაველის N 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური - 30 პროფესიული სტუდენტი, ქ.ოზურგეთი რუსთაველის N 8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	176
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დასაბუთება, რომელიც ნაწილობრივ ადასტურებს პროგრამის დამატების მიზანშეწონილობას. ზოგადად მიმოიხილავს რეგიონის საჭიროებებს ტურიზმის სფეროსა და სასტუმრო მომსახურების მიმართულებით. დასაბუთების დოკუმენტში საუბარია კოლეჯის მიერ ჩატარებულ კვლევაზეც, გამოკითხულ იქნა სულ 50 რესპოდენტი-მშობელი და სკოლის მოსწავლე. კვლევაში არ ჩანს ასაკობრივი ჯგუფი, ასევე დიფერენცირებული არ არის რამდენი მშობელი და მოსწავლე იქნა გამოკითხული, არ არის ინფორმაცია კვლევის მეთოდოლოგიის და კვლევის განმახორციელებელ პირთა შესახებ. პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება არ მოდის წინააღმდეგობაში კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც გაწერილია სამომავლოდ ინტერირებული პროგრამების დამატება. ექსპერტთა შეფასებით, **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

<u>ექსპერტთა რეკომენდაციაა, პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულებამ გაანალიზოს რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, პროგრამის განხორციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებითი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს,შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროს თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია უკვე და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება.</u>

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების შემთხვევაში. დაწესებულებას პროგრამაში ინტეგრირებული აქვს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგები, „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს #174/ნ ბრძანების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა. დაწესებულებას პროგრამაზე სწავლების წინაპირობად ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში განსაზღვრული აქვს საბაზო განათლება, ხოლო სწავლების ვადად სამი წელი. პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის #04-202 ბრძანებით და შესაბამისობაშია მოყვანილი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის # 42/ნ ბრძანებასთან. ექსპერტთა შეფასებით, **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს #32/დ ბრძანებით დამტკიცებულია მეთოდოლოგია, რომლითაც ხდება პროფესიულ სტუდენტთა კვოტის განსაზღვრა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს A, B და C გარემოს ფართის რაოდენობას , ასევე იმ ფაქტს, რომ სწავლება ხდება შეჭრილი გრაფიკით ორ ცვლაში. „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია სასტუმრო მომსახურების ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. ინტეგრირებული მოდულებისთვის დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსებიც სრულ შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მინისტრის 2017 წლის 19 აგვისტოს 170/ნ ბრძანებით დამტიცებული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობების ჩამონათვალთან. შესაბამისად, **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროგრამა მოიცავს მხოლოდ ერთ არჩევით მოდულს „საწარმოო პრაქტიკას“, რომლის ფარგლებში სტუდენტი გამოიმუშავებს ოპტიმალური შრომითი ურთიერთობებისთვის და სამუშაო გარემოს ორგანიზებისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. აღნიშნული არჩევითი მოდული შექმნილია უშუალოდ სასტუმრო მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამისთვის და გათვალისწინებულია აღნიშნული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით. თავისი შინაარსით და სწავლის შედეგებით დაკავშირებული სასტუმრო მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამასთან. ექსპერტთა შეფასებით, **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის #04-201 ბრძანებით. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის #04-89 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი. აღნიშნული დოკუმენტის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -სასტუმრო მომსახურება ამზადებს პროფესიულ სტუდენტებს, რომლებიც დასაქმდებიან სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციაზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ავითარებს სტუდენტებში ისეთ პროფესიულ უნარებს, რომლითაც უზრუნველყოფს სასტუმროს მომსახურების მიწოდებას. ექპერტთა შეფასებით, **პროგრამის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი. აღნიშნული დოკუმენტის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 6 დეკემბრის #04-201 ბრძანებით. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი,ინტეგრირებული, არჩევითი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 86 კრედიტია, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში 146 კრედიტი. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 116 კრედიტს, ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში 176 კრედიტს. შესაბამისად, **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის მისია და ხედვა
2. სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025)
3. პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი
4. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი
5. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. საგანამანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ სასწავლო გეგმა
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულური ფორმით). მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია ძირითადად დაწესებულებაში, თავისივე მატერიალური რესურსებით, რომელთა ფლობა დასტურდება როგორც შესყიდვის აქტებით, ასევე დათვალიერების შედეგად. პრაქტიკის ობიექტზე გატანილი აქვს მხოლოდ ერთი მოდულის - „სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფის“ შემდეგი ორი შედეგი: № 3. „დასუფთავების განყოფილების დამატებითი მომსახურებების უზრუნველყოფა“ და № 4. „სამრეცხაო განყოფილების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა“, რაც ასევე დასტურდება პრაქტიკის ობიექტთან - **„სასტუმრო პარაგრაფთან“** - 06.12.2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით - „მოდულის შედეგის განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ“. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის ობიექტის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, მოდული და მისაღწევი შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებაში ასევე მითითებულია შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის არსებობაც ასევე უნდა უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტმა განსახორციელებელი მოდულის ფარგლებში. ხელშეკრულებაში მითითებული დეტალები ასევე დასტურდება, პრაქტიკის ობიექტზე მოდულის განმახორციელებლებთან და საწარმოს წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად; საწარმო ობიექტზე მოდულის განმახორციელებელი ასევე არის საწარმოს დასაქმებული იმავე დეპარტამენტში, რომელი მოდულის შედეგების მიღწევაზეც არის პასუხისმგებელი სასწავლო პროგრამის ფარგლებში. იმავე საწარმო ობიექტთან ასევე გაფორმებულია მემორანდუმი 06.12.2021 თარიღით, რომლის მიხედვით საწარმო ობიექტი გამოთქვამს მზაობას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული სტუდენტებისთვის „საწარმოო პრაქტიკის“ – 150 საათის ოდენობით გაიარონ შპს „პარაგრაფ შეკვეთილ“-ში - ერთ ჯგუფში არაუმეტეს პროფესიული სტუდენტისა. მემორანდუმში მოცემული აღნიშნული ჩანაწერი ასევე დაადასტურა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელმა სატელეფონო გასაუბრებისას.

ა(ა)იპ კოლეჯ “ჰორიზონტს“ მოთხოვნილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ორი A, ერთი B და ოთხი C გარემო შესაბამისი აღჭურვილობით. 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება დაგეგმილია 2 ცვლაში, შესაბამისად სამივე ტიპის გარემო გათვალისწინებულია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე. მითითებული სასწავლო გარემოები გადამოწმდა დათვალიერებისას. კვების ბლოკისთვის გათვალისწინებულია ცალკე ერთი C გარემო შესაბამისი მატერიალური რესურსებით და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, რაც ასევე გადამოწმდა დათვალიერებისას.
ასევე აღჭურვილია სასტუმრო მომსახურების სპეციფიკის C გარემოსთვის დამახასიათებელი მატერიალური აღჭურვილობით: სასტუმროს დახლი, სხვადასხვა დროითი სარტყელის საათები, სამუშაო კომპიუტერი, პრინტერი, სასტუმრო პროგრამა „ოპერა“, სასტუმრო ოთახის სიმულაციური კუთხე, სადაც წარმოდგენილია საწოლები თავისი ტუმბოებით, სამუშაო მაგიდა სანათით, სკამი და სხვა შესაბამისი აქსესუარები.
პროგრამის გამტარუნარიანობას ზრდის ის ფაქტორიც, რომ დაწესებულება ოპერირებს ორ ცვლაში და შესაძლებლობა აქვს სასწავლო ჯგუფების მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების გამოყენება სხვადასხვა საათებში გადაანაწილოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სასტუმრო მომსახურება“- განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა. პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით პროგრამაზე განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 14 პროფესიული, 5 ზოგადი მოდულის და 16 ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და კვირეული საათობრივი დატვირთვა. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურების“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და კოლეჯის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი კვლავაც გეგმავენ პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი საფუძვლიანად იცნობენ „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებით განსაზღვრულ შეფასების სისტემას, აქვთ როგორც დარგობრივი, ისე სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა შეფასებით, **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი მაღალკვალიფიციური კადრია, ჩართული იყო პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების საქმეში და აქტიურად მონაწილეობს მისი განხორციელების, შეფასების და განვითარების მთლიან ციკლში. კოორდინაციას უწევს პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 7 დეკემბრის #04-2 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით, მტკიცდება ბრძანებით და განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. ექსპერტთა შეფასებით, **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოგვიდგინა და დაგვათვალიერებინა კოლეჯის ბიბლიოთეკა. შერჩევითობის პრინციპით, დავათვალიერეთ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი და როგორც აღმოჩნდა საგანმანათლებლო რესურსის ნაწილი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში ფიზიკური სახით, ხოლო ნაწილი მოცემულია ელექტრონული ვერსიის სახით. ასევე აღმოჩნდა, რომ ფიზიკური სახით არსებული ზოგიერთი საგანმანათლებლო რესურსი (მაგალითად, ჭავჭანიძის - მიღება-დაჯავშნის სახელმძღვანელო) წარმოდგენილია თითო ეგზემპლარის სახით. ბიბლიოთეკართან გასაუბრების შედეგად განგვემარტა, რომ ბიბლიოთეკაში პროფესიული სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ადგილზე დააქსეროქსონ მათთვის საჭირო მასალების სასურველი რაოდენობა, ხოლო ელექტრონული ვერსიის შემთხვევაში იქვე ამობეჭდონ ადგილზე. ასევე შესაძლებლობა აქვთ ლინკის სახით გადაიგზავნონ სასურველი მეთოდით. ექსპერტების კითხვაზე, თუ როგორ შეძლებენ ონლაინ სწავლების შემთხვევაში ფიზიკურად არსებული მასალების პროფესიული სტუდენტებისთვის მიწოდებას, განგვემარტა, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება მასალების სკანირება და გაციფრულება, მანამდე კი საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მასწავლებელი თავად უზრუნველყოფს საჭირო გვერდების ფოტოების სახით გავრცელებას. ექსპერტთა შეფასებით, **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით გაწერილია სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები შშმ სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ბიბლიოთეკართან ინტერვიუ ადასტურებს იმას, რომ დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში აქვს მზაობა მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
<u>ექსპერტთა რეკომენდაციაა მარეგულირებელ დებულებაში გაიწეროს სასწავლო რესურსების ადაპტირების წესი.</u>

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი.
ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამის ბიუჯეტი;
4. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი
5. ვიზუალური დათვალიერება;
6. გასაუბრება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის ინსტრუქცია, რომელშიც მოცემულია ციკლი „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესში გათვალისწინებული აქვს დამსაქმებლის გამოკითხვა. პროგრამის განვითარების მექანიზმი არ მოიცავს ზუსტ მახასიათებლებს, ასევე კითხვარებს კვლევისთვის. თუმცა პროგრამის შემუშავებამდე დაწესებულებამ ჩაატარა ბაზრის მოკვლევა, გამოკითხა დამსაქმებელი, რასაც ადასტურებს კოლეჯის დირექტორის ინტერვიუც, რომელმაც აღნიშნა, რომ „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიციატორი სწორედ კერძო სექტორი იყო და ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე მოხდა დაწესებულების მიერ პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა. ექსპერტთა შეფასებით, **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** <u>ექსპერტთა რეკომენდაციაა, კვლევის ეტაპზე პასუხისმგებელი პირების მიერ მოხდეს იმ დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი , რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე გაეცნონ დამსაქმებელთა მოთხოვნებს რა უნარ-ჩვევებს მოითხოვენ კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულთაგან და იხელმძღვანელონ პროგრამის განვითარების და დახვეწის პროცესში.</u>
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის #04-187 ბრძანებით შექმნილია შიდა მხარდამჭერის ჯგუფი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება. ვიზიტის დროს წამოდგენილ იქნა შეფასების ჯგუფის ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ აღნიშნული მხარდამჭერი ჯგუფი აქტიურად არის ჩართული პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესში. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის #04-89 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების და განვითარების წესი, რომლითაც გაწერილია პროგრამის შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები, ასევე საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელების წესი. დაწესებულება ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე, რაც დასტურდება მხარდამჭერის ჯგუფის წევრებთან გასაუბრებითა და ოქმებით. ექსპერტთა **შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების, ცვლილებების შეტანის, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი;
3. ბრძანება შიდა მხარდამჭერი ჯგუფის შექმნისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ;
4. გასაუბრება;
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სასტუმრო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა, სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის; ასევე გათვალისწინებელია ინტეგრირებული პროგრამების სასწავლო გეგმის აგების სპეციფიკა; სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად.**
2. დაწესებულებას რეგულაციაში გაწერილიაქვს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, თითოეულ პროფესიულ სტუდენტს გადაეცემა „სტუდენტის სამახსოვრო“, რომელშიც თავმოყრილია დაწესებულების სხვადასხვა სერვისების შესახებ ინფორმაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლის ადმინისტრირების წესები. საჭიროების შემთხვევაში სწავლება ხორციელდება „Teams“-ის საშუალებით. რეგულარულად ტარდება შეხვედრები სტუდენტებისთვის ელექტრონული პლატფორმის გამოყენების თაობაზე. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით გაწერილია მექანიზმი , რომლის საშუალებითაც დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილ პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯი უზრუნველყოფს მათთან შეთანხმებული ინდივიდუალური მიდგომებით-ა და გეგმებით, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმით პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებას სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სარეკომენდაციო სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, რაც ვალიდირებულია შესაბამისი პროცედურების დაცვით და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფები და პროფესიული მხარდამჭერი ღონისძიებები პროფესიული მასწავლებლებისთვის, მათ შორის სწავლების თანამედროვე მიდგომების და დარგში არსებული სიახლეების შესახებ. შესაბამისად, **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**
4. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესში გაწერილია სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება, პროგრამაში ცვლილებების შეტანის შემთხვევებისათვის შესაბამისი წესები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომელიც საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ექსპერტთა შეფასებით, **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**
5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ერთ პრაქტიკის ობიექტთან. მემორანდუმი შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და მოიცავს ინფორმაციას მხარეთა უფლება-მოვალეობების, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხების, მემორანდუმის მოქმედების ვადის, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებისა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ.ექსპერტთა შეფასებით, **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**
6. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯ „ჰორიზონტის“ რეგულირების წესით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთხოების პირობების შექმნას/დაცვას. ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებიუთ, **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
3. საგანამანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ სასწავლო გეგმა;
4. შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
5. გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ -წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. **მარეგულირებელი წესი მოიცავს** ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. ექსპერტთა შეფასებით, **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2.დაწესებულების სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი-ვერიფიკაცია, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედაგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრონციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

<u>ექსპერტთა რეკომენდაციაა, დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ვერიფიკაციის პერიოდულობა(რამდენ ხანში ერთხელ უნდა ჩატარდეს).</u>

3. დაწესებულების სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, მტკიცებულებები იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**
4. დაწესებულების სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, რომლის მიხედვით შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განამხორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
2. ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია;
3. ხარისხის მართვის მექანიზმები და ხარისხის მართვის ინსტრუქცია;
4. გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

20.01.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: